საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1668-03
07/09/2021

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამებისა და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტებისთვის 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 7 სექტემბრის N7 სხდომის გადაწყვეტილების გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამებისა და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტებისთვის 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე;

3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლას და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

გიგა ზედანია

რექტორი